როგორც გამოვარკვიეთ, პასპორტიზაციის ჩამტარებელი მთელი რიგი პუნქტების მოწყობა 12 ივლისს ჯერ არ იყო დაწყებული. **პასპორტიზაციის ჩამტარებელ პუნქტებისათვის გამოყოფილ ზოგიერთ ბინაში მუშაობა შეუძლებელია.** მთელი რიგი მარავსამეულები არ იღებენ მონაწილეობას პასპორტიზაციის ბოლოშეკეთრად ჩატარებაში, მაგ.: 26 კომუნარის სახ. რაიბინათკავშირთან პასპორტიზაციის ჩამტარებელი პუნქტის მოსაწყობად არავითარი მუშაობა არაა შესრულებული. **პუნქტისათვის გამოყოფილი არ არის ბინა, კედრები, სახლების კომენდატები არ არიან ჩაბმული პასპორტიზაციის ჩატარების მოსამზადებელ მუშაობაში.**

ვერის ბაზრის სამმართველო პასპორტიზაციის ჩატარებას გვერდს უვლის. პუნქტისათვის თუმცა გამოყოფილია ბინა, მაგრამ ის მოუწყობელია: ბინას არა აქვს ფანჯრები, არ არის საჭირო მაგიდები, სკამები და სხვ. ადგილობრივი სამეული ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ვერის ბაზრის სახლის **ხამუშეულის ხელმძღვანელმა ამხ. ვაჩეიშვილმა** არც კი იცის რა მუშაობა უნდა ჩაატაროს მან პასპორტიზაციასთან დაკავშირებით.

დეპოპოვოს საბაზრო კომიტეტთან პუნქტის სათანადოთ მოსაწყობად ჯერ-ჯერობით არავითარი მუშაობა არაა ჩატარებული. პუნქტისათვის გამოყოფილია მხოლოდ 2 მუშაკი. პუნქტი არაა მოწყობილი და მომარაგებული საჭირო ინვენტარით და სანაღლარიო ნივთებით.

ასეთივე მდგომარეობაა კომუნალურ ქუჩ. № 92 პუნქტში, ბინათკავშირის **კლუბში პასპორტიზაციის პუნქტი მოთავსებულია ბნელ სარდაფში, სადაც მუშაობა შეუძლებელია, მე-18 შრ. სკოლაში პასპორტიზაციის პუნქტისათვის გამოყოფილი ბინა შეუკეთებელია.** ასეთივე მდგომარეობაა აგურის ქარხნებში, მაუდის ფაბრიკაში და სხვ. ეს ფაქტები მოწმობს, რომ პასპორტიზაციის ჩატარებისათვის ჯერ კიდევ არა ვართ მზად. არაა **შეხრულებული საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება, რომელიც შეეხება პასპორტიზაციის ჩამტარებელ პუნქტების სათანადო ბინებითა და მოწყობილობით უზრუნველსაყოფად.**

ჩვენი ვინაღლებაა გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული **მათ წინააღმდეგ, ვინც ვერ აფასებს პასპორტიზაციის ჩატარების დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას.**

პასპორტიზაციის ჩამტარებელი პუნქტები სასწრაფოდ უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სათანადო ბინებით, ქადრებით და საჭირო მოწყობილობით. უნდა დაჩქარდეს ქალაქის მშრომელი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა და სოციალურად მავნე ელემენტების უკლებლივ გამომეღავნება.

ქალ. ტფილისი მთლიანად უნდა გაიწმინდოს ქურდებისა, გამფლანგველებისა, კულაკური და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტებისაგან.

რეიდში მონაწილენი: დარჯანია, **მურშკიაშვილი, თათარაშვილი, წეველიძე, ბახტაძე; სიხარულიძე, კერესელიძე, მაჭავარიანი, ენუქიძე, რუხაძე, ხევსურიანი, როსტომაშვილი, სამაშვილი, დოლიაშვილი, ქართველიშვილი, საგანელიძე, კვახაძე,ახობაძე, ზაალიშვილი, დავთაშვილი,არუთინოვი, ბარამიძე, მიმინაშვილი, ყიფიანი, გოგლაძე, ტატურია, გეგეჭკორი, ბაიდაური, ცისკაძე, პირაღაშვილი, რუსიშვილი, ვაშაკიძე, ჯაფარიძე, გებიაშვილი, ტატიშვილი, ხარებავა, ლომანოზოვი, ივანიშვილი, ნიფარიძე, ჩხობაძე, გვარჯალაძე, ბერუჩაშვილი.**

სად მიიღებენ მოქალაქეები პასპორტს

ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს რ ა ი ო ნ ი

პუნქტი № 45—გაკე, უნივერსიტეტის ქ. აგურის ქარხნების წითელა კუთხის სადგომი. მომსახურებას გაუწევს ძველ უნივერსიტეტის ჭიშკს ყველა ახლო მდებარე ჭიშკებით, შესახვევებით და ჩიხებით.

პუნქტი № 46—წყნეთის და კალანდაძის ჭიშკების კუთხე 31—24 (დარაბა). მომსახურების გაუწევს „ბარაბისტვის“ რაიონს, მელიქიშვილის ჭიშკს კინტ მხარეს და ლენინის ჭიშკს № 42-დან ზოოპარკის ხიდამდე ამ ტერიტორიაზე მდებარე ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 47—წყნეთის ქ. საქ. საჰ. მეურნ. ტრ. ღვინის სკოლის კლუბთან. მომსახურებას გაუწევს მელიქიშვილის ჭიშკის ოთხ ნომერს ვირთხისებრ ჭიშკებზე (ვაგონოს ხიდის კინტ ნომრებს მთის ძირამდე) ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით.

პუნქტი № 48—ლენინის ქ. № 29, ვერის ბაზრის კანტორა, მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას ზოოპარკის ხიდიდან ლენინის ჭიშკამდე, კინტ ნომრებს ვერის ხიდამდე და ზემოთ 3დ. მტკვრის კალაპოტის გასწვრივ მდ. ვერამდე ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 49—ლენინის ჭიშკი № 32 სამტრესტის სადგომი. მომსახურების გაუწევს მოსკოვის ჭიშკის კინტ ნომრებს მთის ძირამდე, ბელინსკის ჭიშკის ლუწ ნომრებს მთამდე და ლენინის ჭიშკის № 32-დან ელბაქიძის დაშმართამდე ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 50—მელიქიშვილის ქ. № 2, მე-18 შრომის სკოლის შენობა. მომსახურებას გაუწევს ბელინსკის ჭიშკის კინტ ნომრებს მთის ძირამდე, მთიდან ვარიასების ჭიშკის ლუწი ნომრებით მელიქიშვილის ჭიშკამდე და მელიქიშვილის და ვარიასების ჭიშკების კუთხიდან ბელინსკის ჭიშკამდე—მელიქიშვილის ჭიშკის კუთხე ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 51—რუსთაველის ქ. № 39, ბინათკავშირის კლუბი. მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას ვირის ხიდიდან ელბაქიძის დაღმართით კინტი ნომრები, ლენინის ქ. 3 და 1, ევანგულოვის ქ. ლუწ ნომრებს და ბროსლეს ჭიშკის ლუწ ნომრებს მდ. მტკვრის ნაპირამდე ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 52—გრიბოედოვის ქ. № 22, სამხატვრო აკადემიის შენობა. მომსახურებას გაუწევს მოსკოვის ჭიშკის ლუწ ნომრებს მთის ძირამდე, მთის ძირის გასწვრივ ტყის შესახვევამდე, ტყის შესახვევიდან ჭავჭავაძის ჭიშკით რუსთაველის პროსპექტამდე და რუსთაველის პროსპექტის № 24-დან 40-დე და ლენინის ჭიშკის № 2-დან 8-დე ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 53—გრიბოედოვის ჭიშკი № 8, სახელმწიფო კონსერვატორია. მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას ბესიკის ჭიშკიდან მთის ძირამდე, მთის ძირიდან გასწვრივ ჭავჭავაძის ჭიშკით რუსთაველის პროსპექტამდე და რუსთაველის პროსპექტიდან № 22-დან 10-დე და ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 54—მუზეუმის ჭიშკი, განათლების მუშაკთა სახლი, მომსახურებას გაუწევს ევანგულოვის ჭიშკას და ბროსლეს ჭიშკის კინტ ნომრებს, ჯორჯაძის ქ. ლუწ ნომრებს, ხაზინის ჭიშკას მთლიანად, ვოლოდარსკის და პარიზის კომუნის ჭიშკებს, ბროსლეს ჭიშკამდე ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 55.—ცინცაძის ქ. № 50 და 43 შრომის სკოლის, შენობასთან. მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას, მესხიშვილის ენგელსის ქ. 40-დან 66 ნომრამდე და 25-დან 43-დე, დავითაშვილის ქ. 2-დან 12-დე, ჯაფარიძეების ქ. 8-დან 22-დე და 23-დან 27-დე, აღმაშენებლის ქ. 2-დან 26-დე, თაბუკაშვილების მოედნიდან აჯაკი წერეთლის ჭიშკით ლერმონტოვის ქ. № 12 23-დე და 16—22 მახარაძის ქ. ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკით და შესახვევებით.

პუნქტი № 56. სოლოლაკის ქ. 16, წყალარტრესტის შენობა. მომსახურებას გაუწევს ბოჭორძის ჭიშკის № 2-დან 10-დე და 1-დან 13-დე, ელიავას ქ. 6-დან 12-დე, ჯაფარიძეების ქ. 1-დან 21-დე, დავითაშვილის ჭიშკის ყველა კინტ ნომრებს და ლუწ ნომრებს 14-დან მთის ძირამდე და მთის ძირის გასწვრივ ჩიტაძის ჭიშკამდე ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით, შესახვევებით და ჩიხებით.

პუნქტი № 57. მაჩაბლის ქ. № 1, საბუღრ მრეწველობის ტრესტის შენობა. მომსახურებას გაუწევს დუმბაძის ჭიშკის კინტ ნომრებს ენგელსის ჭიშკიდან, ენგელსის ჭიშკას 28-დან 38-დე და 19-დან 25-დე, მაჩაბლის ჭიშკის ლუწ ნომრებს სოლოლაკის ჭიშკამდე. სოლოლაკის ჭიშკის ლუწ ნომრებს დუქანამდე. ამ უბანში შემავალი ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 58. თავისუფლების მოედანი, გარეკასა, რაისაბჭოსთან. მომსახურებას გაუწევს ჯორჯაძის, კომინტერნის, შატაძის, პუშკინის, ლუწ ნომრებს, მუხრანის ქ. № 2-დან მუხრანის ხიდამდე, ხიდიდან ახალი ბაზრით ორბელიანის ჭიშკის ვოლოდარსკის ჭიშკამდე, ხაზინის ჭიშკის ლუწ ნომრებს რუსთაველის პროსპ. ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით.

პუნქტი № 59. ძერჟინსკის ქ. № 16, სახანო-საიჯარო ამხანაგობის კულტკუთხე. მომსახურებას გაუწევს აღმაშენის ქ. 1-დან 15-დე, ჯუღაშვილის ქ. 6-დან 8-დე, ელიავის ქ. კენტ ნომრებს 17-დე, ჯორჯაძის ჭიშკიდან ჩიტაძის ჭიშკის ლუწ ნომრებს, ხაზინის ჭიშკის ლუწ ნომრებს რუსთაველის პროსპექტამდე, რუსთაველის და კომინტერნის ჭიშკის კენტ ნომრებს, კომიტერნის ჭიშკიდან თავისუფლების მოედნამდე კენტ ნომრებს.

პუნქტი № 60. როზენოფის ქ. № 1, განსაბკომის საცდელ-საჩვენებელი სკოლის შენობა. მომსახურებას გაუწევს ბესიკის ჭიშკის ლუწ ნომრებს, მთის ძირამდე, მთის ძირის გასწვრივ ჩიტაძის ჭიშკამდე, ჩიტაძის ჭიშკის კენტ ნომრებს რუსთაველის პროსპექტამდე, რუსთაველის და ჩიტაძის ჭიშკების კუთხემდე ლუწ ნომრებს ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით და შესახვევებით და სხვ.

პუნქტი № 61. ზოოპარკის შენობა. მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას ახალი ხიდიდან მთელი სახურთალოს ჩათვლით ამ უბანში შემავალ ყველა ჭიშკებით, შესახვევებით და ჩიხებით.

შენიშვნა: საგარეუბნო რაიონის პუნქტების სია დამატებით იქნება გამოქვეყნებული.

მ. გ. მილიციის მ.-სამმართველოს უფროსი ხა ზ ა რ ე თ ე ლ ი.

მ. სამმართველოს სახპასპორტო განყოფილების უფროსი მ ე ლ ა ქ ი.

ავტომოგზაური ნახშირით

ლენინგრადი ტფილისი

ამჟამად საბჭოთა კავშირში ტარდება საზოგადოება — „ავტოგზა“-ს მიერ მოწყობილი საცდელი ხანგრძლივობის ავტოგადარბენა მაგარი საწვავი მასალით. გადარბენის მარშრუტია ლენინგრადი — ტფილისი. გადარბენაში მონაწილეობს ათი ავტომობილი, ორი მათგანი ლენინგრადის ქარხნის მიერ აგებული, ორი ტფილისის ქარხნის მიერ აგებული, ხოლო ექვსი ამერიკული ფორდის სისტემის. ავტომობილები მუშაობენ ნახშირის გაზზე. ეს ნიშნავს, რომ ავტომობილებს თან ზიდავენ ნახშირის გენერატორებს, რომლებიც ნახშირის გაზს აწვდიან ავტომობილის ძრავებს

სახელმწიფო გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1933—34 სასწავლო წლის სახელმძღვანელოები

დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოები

პირველი ჯგუფი

1. პ. ჭანიშვილი—„შრომა და ცოდნა“ (ქართული ენის სახელმძღვანელო), I ნაწ.
2. „შრომა და ცოდნა“ (ქართული ენის სახელმძღვანელო). II ნაწ.
3. ვ. ძიძიგური, ალ. გვახარია, აკ. გვახარია—პირველი წიგნი (ქართული ენის სახელმძღვ.). I ნაწ.
4. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ნორჩი ძალა (ქართ. ენის სახელმძღვანელო ანბანის შემდეგ).

მეორე ჯგუფი

1. პ. აფხაძე და ნ. ძიძიგური—ჩირაღდანი (ქართ. ენის სახელმძღვ. ელრ).
2. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ახალი გზა (ქართ ენის სახელმძღვან.).
3. ნ. შაფაქიძე, ნ. მგელაძე და ნ. კვინიკაძე—არითმეტიკა.
4. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ბუნებისმეტყველება.
5. „ „ —სახოგადოებათმეცნიერება.

მესამე ჯგუფი

1. თ. ახლანიშვილი და ა. ხუბუტია—ახალი შრომა (ქართ. ენისა და ლიტერატ. სახელმძღვ.).
2. ე. ოდიშარია, ნ. ლორთქიფანიძე, ქ. ყანჩაველი და ბერტა შვილი—ცოდნა (ქართ. ენისა და ლიტერატ. სახელმძღვანელო).
3. თ. ჭუმბურიძე—სახმეცნიერება.
4. ა. ხარაბაძე—არითმეტიკა.
5. თ. დონდუა—გეოგრაფიის რვეული, I ნაწ.
6. „ —გეოგრაფიის რვეული, I ნაწ.
7. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება.
8. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ბუნებისმეტყველება.
9. ხ. ფურცელაძე—ქიმიის სლოვო, I ნაწ.
10. პ. წულუკიძე ტ ნ. მისაბიშვილი—ნოვი მირ, I ნაწ.
11. ფ. რურუა—პირველი ნაბიჯი (ქართ. ენა არაქართველთათვის).
12. მ. ჩიქოვანი და ლორთქიფანიძე—გეომეტრიის რვეული.

მეოთხე ჯგუფი

1. შ. თაბუკაშვილი და ო. შარაბიძე—ახალი ქვეყანა (ქართული ენის და ლიტერ. სახელმძღვ.).
2. ბ. ლევიტანი და ნ. ოვსიანკოვი—სახმეცნიერება (გადმოკეთებული რუსულიდან თ. ჭუმბურიძის მიერ).
3. ა. ხარაბაძე—არითმეტიკა.
4. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება.
5. დ. დონდუა—გეოგრაფია, II ნაწ.
6. „ გეოგრაფიის რვეული, II ნაწ.
7. ხ. ფურცელაძე—ქიმიის სლოვო, II ნაწ.
8. პ. წულუკიძე და ნ. მისაბიშვილი—ნოვი მირ, II ნაწ.

საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები

მეხუთე ჯგუფი

1. ბ. კვიმსაძე—ფიზიკა.
2. ა. ხარაბაძე—არითმეტიკა.
3. ნ. შაფაქიძე—გეომეტრია.
4. შ. ჩუბინიძე და პ. მეტრეველი—ბოტანიკა.
5. შ. თაბუკაშვილი, ხ. გაჩეჩილაძე და ვ. ასათიანი—ლიტერატურის სახელმძღვანელო.
6. ხ. ფურცელაძე—რუსკაია რეჩ, I ნაწ.
7. ლ. ხინიკაძე—ფიზიკური გეოგრაფია.
8. მ. ოვსიანკოვი, ბ. ლევიტანი, ვ. ნეკრასოვი—სახმეცნიერება.
9. ნ. ნიკოლსკი—ისტორია (გადმოკეთებული ლ. ციხისთავისა და ვ. ბახტაძის მიერ).
10. ი. ხახარულაძე—ქართული ენა (გრამატიკა).
11. გ. მერკვილაძე—ფიზკულტურა.
12. ა. გვეტაძე—ხაზის სახელმძღვანელო.

მეექვსე ჯგუფი

1. კ. კანდელაკი—ფიზიკა.
2. ა. მჭედლიძე და ი. ხახარულაძე—ლიტერატურის სახელმძღვანელო.
3. ი. ხახარულაძე—ქართული ენა (გრამატიკა).
4. გუკოვსკი და ტრახტენბერგი—ისტორია.
5. ბ. ლევიტანი და ნ. ოვსიანკოვი—სახმეცნიერება.
6. ხ. ფურცელაძე—რუსკაია რეჩ, II ნაწ.
7. პ. მეტრეველი და მ. ფაჩუაშვილი—ხოლოგია.
8. ზ. კლიმიაშვილი—გეოგრაფია.
9. ვ. ვერხოვსკი—ქიმია.
10. ავტორთა ბრიგადა შ. ჩუბინიძის ხელმძღვანელობით—აგროცოდნა.
11. ა. ხარაბაძე და მ. კორძახია—ალგებრა.
12. ა. ხარაბაძე და დ. პარკაძე—გეომეტრია.

მეშვიდე ჯგუფი

1. ვ. ვერხოვსკი—ქიმია.
2. კ. კანდელაკი—ფიზიკა.
3. ა. ხარაბაძე და დ. პარკაძე—გეომეტრია.
4. ნ. ჭორიძე—ლიტერატურის სახელმძღვანელო.
5. ა. ხარაბაძე და მ. კორძახია—ალგებრა.
6. ხ. ფურცელაძე—რუსკაია რეჩ. III ნაწ.
7. ი. ხახარულაძე—პართული ენა (გრამატიკა).
8. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია.
9. გუკოვსკი და ტრახტენბერგი—ისტორია.
10. ზ. კლიმიაშვილი—გეოგრაფია.

ნაცუმცირესგათა სკოლების სახელმძღვანელოები

სომხურ ენაზე

1. ა. ელიბეკიანი—გეოგრაფია, III ჯგ.
2. „ გეოგრაფიის რვეული, III ჯგ.
3. ხ. ესაიანი, ა. აირაპეტიანი და ა. არუთუნიანი—სახმეცნიერება, III ჯგ.
4. ნ. ხარჩისიანი და ვ. თურაზიანი—ბუნებისმეტყველება, III ჯგ.
5. კ. აგაბაბიანი, გ. მესიანი და ს. ისრაელიანი—სომხური ენა და ლიტერატურა, III ჯგ.
6. „ „ „ —სომხური ენა და ლიტერატურა, IV ჯგ.
7. ნ. ხარჩისიანი და ვ. თურაზიანი—ბუნებისმეტყველება, IV ჯგ.

თურქულ ენაზე

1. დ. დონდუა—გეოგრაფია, III ჯგ.
2. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება, IV ჯგ.
3. ა. საფარასტიანი—გეოგრაფია, IV ჯგ.
4. ასკერი—სახმეცნიერება, IV ჯგ.
5. რ. შახვალადოვი—თურქული ენა და ლიტერატურა, IV ჯგ.

რუსულ ენაზე

1. ბორდელიუსი და თოფურიძე—რუსული ენის სახელმძღ., O ჯგ. I, II ნაწ.
2. გ. ხვოსტოვსკაია—ქივოი პოტოკ (რუსული ენის სახელმძღ.), I ჯგ.
3. ხარიტოვა, შაბაევა, ტოდორსკაია—იუნიე სტროიტელი (რუსული ენის სახელმძღ.), II ჯგ.
4. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება, III ჯგუფ.
5. ცურინოვა, კრემიანსკაია, ასლამაზოვა და კოზლოვსკაია—სახმეცნიერება, III ჯგ.
6. დ. დონდუა—გეოგრაფია, III ჯგ.
7. კლ. ორაგველიძე (არსენიევა) კრასნაია ზვეზდა, ლიტერატურის სახელმძღვანელო, III ჯგ.
8. ტრუბაჩოვა, თამამშვილი და სავიცკაია—პობედა ტრუდა (ლიტერატურის სახელმძღ.), IV ჯგ.
9. დ. დონდუა—გეოგრაფია, IV ჯგ.

ტექნიკუმების, ათწლედების, მუშფაკების და საქ საფ. სკოლების სახელმძღვანელოები ზოგადი განათლების საგნებში

1. ლ. ციხისთავი, დ. ლორთქიფანიძე და ვ. ბახტაძე—კლასთა ბრძოლის ისტ, I ნაწ.
2. ლ. ციხისთავი, შ. ხიხარულიძე, დ. ლორთქიფანიძე—კლასთა ბრძოლია ისტ., II ნაწ.
3. ბარანსკი—საბჭოთა კავშირის გეოგრაფია.
4. მ. თავართქილაძე—კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომ. გეოგრაფია (ქრესტომათია).
5. ა. შანიძე, ი. აბულაძე და ა. ბარამიძე—ძველი ქართული ლიტერატურა.
6. შ. რადიანი—ლიტერატურის სახელმძღვანელო.
7. შ. რადიანი და შ. თაბუკაშვილი—ლიტერატურული ქრესტომათია, I. II ნაწ.
8. ა. სულავა და გ. ნატროშვილი—ლიტერატურის სახელმძღვანელო. (დამხმარე).
9. შ. თაბუკაშვილი და ვ. ასათიანი—ლიტერატურული ქრესტომათია.
10. ა. სანაძე—რუსული ენის სახელმძღვანელო, I ნაწ.
11. „ „ „ „ II ნაწ.
12. ი. შტეინბერგი, კ. ბერიძე, პაპიტაშვილი, მგალობლიშვილი—გეომეტრია.
13. ნ. კვინიკაძე—ალგებრა.
14. ი. კოსტავა—არაორგანული ქიმია.
15. ა. ჩხენკელი—ბიოლოგია.
16. კ. კანდელაკი—ფიზიკა, I ნაწ.
17. კ. კანდელაკი, კ. ბერიძე და დ. მესხი—ფიზიკა, II, III ნაწ.
18. ი. შტეინბერგი, კ. ბერიძე და სხ.—ალგებრის ამოცანათა კრებული.
19. ან. მუჯირი—ბუნებისმეტყველება (მუშფაკებისათვის).
20. ი. შტეინბერგი—ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილები.
21. ვს. კაპანაძე და დ. ქინქლაძე—მოლოტ (რუსული ენის სახელმძღ.).

ს/კ. უცოდინართა და მცირემცოდნ სალიკვიდაციო და მუშათა და კოლმეურნეთა პოლიტმეძნიკური სკოლის პირველი კონცენტრი.

1. ბ. ჩიქობავა—წიგნ (ქართული ანბანი და საკითხ. წიგნი).
2. „ შრომის სიტყვა.
3. ა. მუჯირი—ბუნებისმეტყველება.
4. „ გეოგრაფია.
5. გ. ბურჭულაძე—მათემატიკა.
6. ვს. კაპანაძე—მოლოტ (რუსული ენის სახელმძღ.).
7. კ. აგაბაბიანი, გ. მესიანი და ს. ისრაელიანი—მერული (სომხ. ანბანი და საკითხ. წიგ.)
8. „ „ „ ჰარვაწიან (სომხური ენა და ლიტერატურა).
9. ალიევი და გასან-ზადე—ლენინ იოლუ (თურქული ანბანი).

სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოცემული იყო 1932/33 სასწ წლის და დაშვებულია განსახკომის მიერ სკოლებში სახმარებლად 1933/34 სასწავლო წელში.

დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოები

ი ჯგუფი

1. პ. ჭანიშვილი, თ. თუმანიშვილი და თ. ერისთავი—ბუნება და შრომა I, II. III ნაწ.
2. „ დიდაქტიკური მასალა წერა-კითხვის შესასწავლად.
3. თ. ერისთავი და თუმანიშვილი—თვლა-ანგარიში, I, II და III ნაწ.
4. მაჩაბელი და წულუკიძე—წერა-კითხვის შესწავლის მასალა.
5. თ. ერისთავი და თ. თუმანიშვილი—წინადადება, II ნაწ
6. თ. ერისთავი—სიტყვა.

პირველი ჯგუფი

7. ვ. ძიძიგური, ალ. გვახარია და აკ. გვახარია—პირველი წიგნი (ანბანი და საკითხავი მასალა), I ნაწ.
8. „ „ „ პირველი წიგნი, II ნაწ.
9. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ნორჩი ძალა, II ნაწ.
10. ნ. შაფაქიძე—მათემატიკა.
11. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ბუნებისმეტყველება.
12. ნ. ბილანიშვილი და ქ. ბეჟანიშვილი—პოლიტეკნიკური შრომა (მასწავლებელთათვის).

მეოთხე ჯგუფი

13. ნ. ძიძიგური და პ. აფხაძე—ჩირაღდანი (ქართული ენა).
14. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—საზმეცნიერება (დამხმარე).
15. ნ. ძიძიგური—წითელი დროშა (სამეცნიერება, დამხმარე).
16. ნ. შაფაქიძე, ნ. მგელაძე და ნ. კვინიკაძე—მათემატიკა).
17. ნ. ბილანიშვილი და ქ. ბეჟანიშვილი—პოლიტეკნიკური შრომა (დამხმარე)
18. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ბუნებისმეტყველება.

მესამე ჯგუფი

19. თ. ახლანიშვილი, ა. ხუბუტია და კ. გრიგოლია—ახალი შრომა (ქართულ ენის სახელმძღვანელო).
20. თ. ჭუმბურიძე—სახმეცნიერება (დამხმარე).
21. ა. ხარაბაძე—მათემატიკა.
22. ტრ. და შ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება.
23. ნ. ბილანიშვილი და ქ. ბეჟანიშვილი—პოლიტეკნიკური შრომა (დამხმარე).
24. ს. ფურცელაძე—ქივოე სლოვო (რუსული ენის სახელმძღვანელო), I ნაწ.
25. ფ. რურუა—პირველი ნაბიჯი (ქართული ენა არაქართველთათვის). I ნაწ.

მეოთხე ჯგუფი

26. შ. თაბუკაშვილი და ო. შარაბიძე—ახალი ქვეყანა (ქართული ენის სახელმძღვანელო)
27. თ. ჭუმბურიძე—სახმეცნიერება (დამხმარე).
28. ტრ და შ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება.
29. ნ. მისაბიშვილი და პ. წულუკიძე—ნოვი მირ (რუსული ენის სახელმძღვანელო).
30. დ. დონდუა—წყარო, II ნაწ.
31. ფ. რურუა—პირველი ნაბიჯი (ქართ. ენა არაქართველთათვის. II ნაწ
32. ხ. და პ. შარაბიძეები—მუსიკის სახელმძღვანელო (დამხმარე)
33. ნ. ბილანიშვილი და ქ. ბეჟანიშვილი—პოლიტეკნიკური შრომა (დამხმარე).
34. ა. ხარაბაძე—მათემატიკა
35. თ. ჯორდანია—სქემატური ხატვა.

საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები

მეხუთე ჯგუფი

36. ჟადოვსკი—ბოტანიკა.
37. ფ. რურუა—წითელი ვარსკვლავი, I ნაწ. (ქართ. ენა არაქართველთათვის).
38. ნ. ფირკალიაშვილი, ი. ისაგულოვი, ნ. ანდღულაძე და გ. ხუროძე პოლიტეკნიკური შრომა (ბის ტექნოლოგია), I ნაწ. (დამხმარე).
39. ხ. და პ. შარაბიძეები—მუსიკის სახელმძღვანელო (დამხმარე).
40. იგნატიევი, ვალერიანოვი და სხ.—ბუნებისმეტყველება (დამხმარე)
41. დ. მესხი—ლაბორატორული მუშაობა ფიზიკაში (დამხმარე).

მეექვსე ჯგუფი

42. ფრანგიშვილი და ბახტაძე—კლასთა ბრძოლის ისტორია (დამხმარე).
43. ლებედევი—ქიმია.
44. თ. ჭუმბურიძე—სახმეცნიერება (დამხმარე).
45. პ. მეტრეველი და გ. ფაჩუაშვილი—ზოოლოგია.
46. გ. ხუროძე, ნ. ფირცხალაიშვილი, ი. ისაგულოვი და ნ. ანდღულაძე—პოლიტექ. შრომა (ლითონის ტექნოლოგია). II ნაწ.
47. ხ. ფურცელაძე—რუსკაია რეჩ, II ნაწ.
48. ფ. რურუა—წითელი ვარსკვლავი (ქართ. ენა არაქართველთათვის).
49. ხ. და პ. შარაბიძეები—მუსიკის სახელმძღვანელო (დამხმარე).

მეშვიდე ჯგუფი

50. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია.
51. ხ. ფურცელაძე—რუსკაია რეჩ, III ნაწ.
52. ა. ინწკირველი—ანგარიშწარმოება კოლმეურნეობაში (დამხმარე).
53. ჩიტაიშვილი და ჩიხლაძე—სამზედრო საქმე.
54. ფ. რურუა—წითელი ვარსკვლავი (ქართ. ენა არაქართველთათვის), III ნაწ.
55. ხ. და პ. შარაბიძეები—მუსიკის სახელმძღვანელო (დამხმარე).
56. ზ. კლიმიაშვილი—საქართველოს გეოგრაფია.
57. დ. მესხი—გამარტივებული ფიზიკური ხელსაწყოები (დამხმარე).
58. დ. დონდუა—გეოგრაფიული ცნობარი, I, II ნაწ.

ტექნიკუმები და ათწლედები

59. ბერმანი—სწავლა სახელმწიფოს შესახებ.
60. სანაძე—რუსული ენის სახელმძღვანელო, I ნაწ.
61. პოკატილო და ემაზმუხი—(გადმოკეთებული ნ. ლორთქიფანიძის მიერ) გერმანული ენის სახელმძღვანელო
62. შტეინბერგი, ბერიძე, მგალობლიშვილი და პაპატაშვილი—ალგებრა.
63. შტეინბერგი, ხარაბაძე, ბერიძე და სხ.—ტრიგონომეტრია.
64. ლახანი და ეზერსკი—ანალიზური ქიმია.
65. ნატალი—ზოოლოგია.
66. მ. გობრონიძე—სამხედრო საქმე.
67. ჟადოვსკი—ბოტანიკა (მუშფაკებისათვის).
68. წულეისკირი და ჭარცვაძე—ქართული ენის სახელმძღვ არაქართველთათვის.
69. ბოჩაროვი, იოანისიანი და სხ.—კლასთა ბრძოლის ისტორია, I ნაწ. (დამხმარე).
70. ს.ტ. ძიძაძე—ორგანული ქიმია.
71. რეინჰარდტი—მსოფლიო გეოკრაფია.

ნაცუმცირესგაბის სკოლების ს ხელმძღვანელოები

თურქულ ენაზე

1. ნ. ძიძიგური—წითელი დროშა (სახმეცნიერება), II ჯგ. (დამხმარე)
2. თ. ჭუმბურიძე—სახმეცნიერება, III ჯ. (დამხმ.).
3. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ბუნებისმეტყველება, I ჯგ.
4. „ „ „ ბუნებისმეტყველება, II ჯგ
5. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება, III ჯგ.

რუსულ ენაზე

6. ხარიტოვა, შაბაევა და ტოდორსკაია—იუნიე სტროიტელი (რუს. ენა), II ჯგ.
7. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ბუნებისმეტყ-ბა, I ჯგ.
8. „ „ „ „ II ჯგ.
9. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება, IV ჯგ.
10. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—სახმეცნიერება, II ჯგ.
11. დ. დონდუა—გეოგრაფია, III ჯგ.

სომხურ ენაზე

12. ნ. ბოცვაძე და კ. ბურჯანაძე—ბუნებისმეტყველება, I ჯგ.
13. „ „ „ II ჯგ.
14. „ „ „ სახმეცნიერება, II ჯ. (დამხმარე)
15. დ. დონდუა—გეოგრაფია, III ჯგ.
16. თ. ჭუმბურიძე—სახმეცნიერება III ჯგ. (დამხმარე).
17. შ. და ტრ. ჩუბინიძეები—ბუნებისმეტყველება, IV ჯ.

პედაგოგიური ტექნიკუმების სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები მასწავლებელთათვის.

1. გ. თავზარაშვილი—მარქსისტული-ლენინური პედაგოგიკა (კრესტომათია).
2. ბრიგადა—პედოლოგია.
3. ტორბეკი—სკოლის წინარე ასაკის პედოლოგია.
4. ე. ბედია—სკოლის მუშაობის ბოლშევიკურად გარდაქმნისათვის.
5. „ ბოლშევიკურად მოვემზადოთ სასწავლო წლისათვის.
6. გ. გოგუაძე—პედაგოგიკა.
7. „ პოლიტეკნიკური სკოლის მეთოდიკის საკითხები.
8. მ. ზანდუკელი—ლიტერატურის მეთოდიკა.
9. ი. ზედგინიძე—წერის მეთოდიკა.
10. სოლომინი და ორეშკოვი—ტექნიკური შრომის სახელმძღვანელო.
11. ე. ბედია და პ. აფხაძე—პროფტექნიკური სკოლის მუშაობის ძირითადი საკითხები.
12. გ. გიორგაძე—მარქს-ენგელსის პედაგოგიური შეხედულებანი.
13. „ კომუნისტური აღზრდა.
14. „ თრ ფრონტზე ბრძოლა საბჭოთა პედაგოგიკაში.
15. „ სასწავლო მუშაობის მაღალი ხარისხისათვის.
16. შ. ხიხარულაძე—საბჭოთა პედაგოგიკის პრობლემები.
17. პ. აფხაძე—ლენინი სახალხო განათლების შესახებ.
18. „ კ. მარქსი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ.
19. კრუპსკაია—სახალხო განათლება და დემოკრატია.
20. ბუბნოვი—სკოლა ახალ ეტაპზე.
21. კრუპსკაიას რედაქციით—მოწინავე სკოლები პოლიტექნიზაციისათვის ბრძოლაში.
22. პანფილოვი—ავიყვანოთ პოლიტექნიკური სკოლა მაღალ საფეხურზე.
23. „ საბჭოთა სკოლა ახალ ეტაპზე.
24. დ. ჯავრიშვილი—ფიზკულტურა პირველი საფეხურის სკოლაში.
25. გ. მესხი—სახვითი აღზრდა 1-ლი საფ. სკოლაში.
26. ბერი, ბელავსკი და ანიკინი—პოლიტექნიკური შრომის პლაკატები დაწყებ. სკოლისათვის.
27. „ „ „ ნახაზები საშ. სკოლისათვის.
28. ნანეიშვილი და წერეთელი—რუსული ენა I საფ. სკოლაში.

განათლების სახალხო კომისარი: ე. ბედია.

სახელგამის გამგე: ბ. ბიბინეიშვილი.

განსახკომის მეთოდსექტორის გამგე, კოლეგიის წევრი: გ. გოგუაძე.

სახელგამის სასწავლო პედაგოგიური სექტორის გამგე: დ. ორაგველიძე.

ტ. 231

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა „სახელგამი“ აცნობებს ყველა ტიპის სკოლებს, ტექნიკუმებს, ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს, სამრეწველო და სხვა ტიპის, და აგრეთვე დაინტერესებულ ორგანიზაციებს

წარმოადგინონ განაცხადები

ძათთვის საჭირო რეაქტივებზე ლაბარატორიულ მოწყობილებაზე და ქიმიურ მატერიალურ ჰურჭელზე 1934 წლისათვის არა უგვიანეს 1-ლ სექტემბრისა სახელგამის საველრო განყოფილებაში (ტფილისი აღმასკომის ქ № 7).

2—2 ნ. 250

სახელგამის კინო-თეატრები:

ა თ ე რ ი 9, 10-30	საზღვარგარეთული ფილმი კაცი. რომელიც იცინ ს
დ ა მ ჯ ვ რ ე ლ ი 9, 10-30	მხ. ფილ. კროცოდილ ვ მილ. შესახებ პრ. გარ—სკ. № 18.
ტ ე მ პ ი 9. 11.	სათავგადასავლო ფილმი ა ლ ი მ
კომინტერნი (დიდუბე) 9, 10-30	სახკინმრეწ. ნაწ ტარიელ მკლავაძე პრ. გარ.—ფიზკულტურისტთა აღლუში
ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი 7, 8-45, 10-30.	სახკინ. სურ. ვინ არის დამნაშავე პრ გარ თეთრწყაროში ხიდის პატაკს იძლევა
დ ა მ ჯ ვ რ ე ლ ი 7-30, 9, 10-30.	მხატვრული ფილმი მ ე ლ ა პრ. გარ.—სკ № 17.
რ. ლიუძნემბურგის 7, 8-45, 10-30	მხატვრული ფილმი ო ქ რ ი დ ე ა
ი ა პ ო ნ ი ა 7-30. 9 10-30	იგ. ილ. კომ. ტიკინა მილიონებით პრ. გარ. ყურ. საბ. საქართველო № 11
საბავშო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშო ფილმი ო ქ რ ო ს თაფლი პროგრ. გარ.—პიონერი.
მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ტ ე ხ ნ ი კ ა ჯ. 9-30	ეთნოგრაფიული ფილმი აზიის საზღვრებზე.

ბაქვის მუშათა ტექნიკუმში მიღების პირობები

ბაქვში არსებული მუშფაკი გადაკეთდა მუშათა ტექნიკუმად იწყებენ ახალგაზრდები ორივე სქესის 16 წლიდან 25 წლამდე შეიდწევენ დამთავრებულები—1-ლ კურსზე მათზე ნაკლები ცოდნის მოსამზადებელ ჯგუფებში.

გამოცდები დაიწყება 1-ლ სექტემბრიდან. გამოცდების ირგვლივ იწარმოებს კონსულტაცია.

საჭიროა შემდეგი საბუთები: განათლების, სოციმდგომარეობის, წლოვანების და ჯანმრთელობის. მოწაფეობას მიეცემა სტიპენდია, ბინა, კვება მტკიცე ფასებში განსაზღვრა მიიღება მეურნეობის დირექციაში და ს კოლაში. ამავე მისამართით შეიძლება საბუთების გადმოგზავნა

მეურნეობის დირექტორი პ. მეგრელიშვილი.

743 სკოლის გამგე რ. ბარამია.

ა წ. 15 აგვისტოს, ს.ლამოს 7 საათზე (ვლეხანოვის ს.ს. კლუბის საზაფხულო დარბაზში, საბჭოს ქ. № 128) შ ე ს დ გ ე ბ ა

ლენ-რაისაბჭოს გაფართ. პლენუმი

დღის წესრიგში: 1. 1933—34 წლის სასწავლო წლის სამზადისის მიმდინარეობის შესახებ. (მომხ. მიქაძე).

2. სოორგანიზაციო საკითხები.

პლენუმზე დასწრება სავალდებულოა ლენ-რაისაბჭოს ყველა წევრების, საბჭოს პროფაქტივის, რაიონის მასწავლებლების და სკოლის გამგეების.

ლენ-რაისაბჭოს თავმჯდომარე ს ულავა.

735 საორგ. განყოფილების გამგე ლიანოზოვი.

ე ქ ი მ ი

ა ვ. მიქაძერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთავრა „ს ი ლ ა მ ა ზ ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრო-ორთქვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად ძნელაძის ქ. (ყოფ. სპაორის) 19, იღებს დილით 10—1 ს. და საღ. 6—8 ს. შესავალი ძნელაძის შესახვევიდან.

25—11

საქვაჭროგა

აცნობებს ავანსტორების საყურადღებოდ, რომ 10 აგვისტოდან დაიწყება

სამრეწველო საქონლის გაცემა შემოტანილ ავანსებზე.

სამრეწველო საქონლის მიღებია უკანასკნელი ვადა 20 აგვისტოა, შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.

ავანსტორები შეტანილ ავანსის ქვითრებით უნდა გამოცხადდენ საქვაჭრობის ტფილისის სექტორში, ძერჟინსკის ქ. № 19, ამხ. ლანდიანთან.

ნ. 248 3—3 საქვაჭროგა.

პროლეტარული სასპორტო საზოგადოება „დ ი ნ ა მ ო“-ს

საფეხბურთო-კრებრს. მიწოდება

პუშკინის ქ. № 2-დან

გადავიდა ბენზიკის (ყოფ. დავიდოვის) ძუძუზე, სახლი № 4, ტელეფონი № 21—86

2—1 727 საძღვინამო.

საკრძეფრინველი უიდის მსუბუქ „რენო“-ს

სისტემის მანქანას.

პიროგოვის ქ. № 1. 2-2 719

ჩოხ ტაურის რაიონბრეშუმის და მრეწველობის ძუძა მოსამსახურეები გამოსთქვამთ ულრმეს მწუხარებას ტრუსტის დირექტორის ამხ. კაკო ყულენტის უფროსი ვაჟის

შ ო თ ი კ ო ს

ტრაღიკულად დაღუპვის გამო. 740

ა-კ. მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის ინსტიტუტის ტექნოლოგიური სექტორის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კაკო ყულენტის უფროსი ვაჟის

შ ო თ ა ს

ტრაღიკულად დაღუპვის გამო 738

საქართველოს მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის საკონდიციო ბიუროს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. კაკო ყულენტის უფროსი ვაჟის

შ ო თ ა ს

ტრაღიკულად დაღუპვის გამო. 737

საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კაკო ყულენტის უფროსი ვაჟის

შ ო თ ა ს

ტრაღიკულად დაღუპვის გამო. 739

უახლოესი მეგობრები გერმანე მათითაშვილი და ნიკოლოზ დოლიძე უახლოეს მწუხარებით აცნობებენ ამხანაგებს აკაკი ყულენტის საყვარელ ვაჟის

შ ო თ ა ს

ტრაღიკულ დაღუპვას. 747

დამწუხრებული მეგობრები: ს. ქარსელაძე, გ. ქარუხნიშვილი, კ. ქარსელაძე, ნ. იორდანიშვილი, გ. კასრაძე, ტ. ბაკრაძისა, ს. ბეზარაშვილი ვგლოვობთ ძვირფას მეგობრების სარა, ლადო, ნიკო და სანშა სარალიძეების დედის

მ ა რ ი ა მ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. 749

სერგო ცოლშვილით, ვასო ცოლშვილით, ვალია დედით ისაკაძეები, პავლე ცოლშვილით აგლაძე, რუსუდანი და აბრამი ცოლშვილით გურუნაშვილები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი

ალექსანდრე (ანდრია) მჭედლიშვილის

გარდაცვალებას. 731

გაუბედურებული დედა მართა, მეუღლე ტასო, რძალი ლიდა, ძმისშვილები: ვენია, თამარა და მიშა იუწყებიან მათთვის საყვარელ

დათიკო გიორგის-ძე ანდღულაძის

გარდაცვალებას. 743

გრიგოლი, ალეუები და ლუბა ჩალიგავები, პახვალა, ნატა და გრიშა ფირცხალაველები ოჯახებით დავსტირით უდროოდ გარდაცვლებულ უახლოესი მეგობრის და ნათესავის

გოგუნა ბახვა ახული შენელიას

ცხედარს. 745

დამწუხრებული შვილები, სარა, ლადო, ნიკო, სანშა რძლებით ქენია და ქეთო სარალიძეები აუწყებენ ძვირფას დედის

მ ა რ ი ა ნ ი ა ხ ა ლ ი ძ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ტფილისში 15 აგვისტოს საღ. 5 ს. კურსანტების ქ. № 6. 723

ღრმად დამწუხრებული შვილი სარა, სიძე რევაზი და შვილიშვილი მერი მაყაშვილები აუწყებენ სახოგადოებას

მ ა რ ი ა ნ ი ა ხ ა ლ ი ძ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერიის სასაფლაოზე 15 აგვისტოს საღ. 5 ს. კურსანტების ქ. № 6. 723

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი ქირურგიული განყოფილების ექიმები: მინდაძე, მუჯირი, გზირიშვილი, ჭურდიანი, შავნაგირაძე, ყიფშიძე. ჭუმბურიძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. ლეო ქვარიანის დის

ელენა კონსტანტინეს ას. ძვარიანის

უდროოდ გარდაცვალების გამო 750

არტელი „შეკავშირება“-ს გამგეობა აუწყებს, რომ უცერად გარდაიცვალა ამავე არტელის ძველი წევრი და აქტიური დამკვრელი მუშა ამხ.

ალექსანდრე მჭედლიშვილი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 731

დამწუხრებული შვილები: კუკუ, ჯვები, ზომფო, ნოკო, ლუდმილა ცაცო, მიმი და კატუშა თავიანთი ოჯახებით აუწყებიან უძვირფასეს დედის

ჩუჩუ (ოლღა) ჩაჩიბაიას

გარდაცვალებას ახალსენაკში ჯორჯაძის ქ. № 10. დასაფლავება ცალკე გამოცხადება. 724

დამწუხრებული სიძე ალექსანდრე გიორგობიანი მეუღლე ევათი და შვილი გივით აუწყებს ხათისავებს და მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

მ ა რ გ ა რ ი ტ ა ა რ ჩ ვ ა ძ ი ს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 15 აგვისტოს 5 ს. უელიაბოვის ქ. № 17, კუკიის სასაფლაოზე. 704

დამწუხრებული მეუღლე თამარი, შვილები: მერი და ნათელა, დედა სოფიო და მარგო, ცოლის-დები: ნინა, ანნა აუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გ ი ო რ გ ი დ ი მ ი ტ რ ი ს - ძ ე ა მ ი რ ა შ ვ ი ლ ი ს

გამოსვენება დღეს, 6 ს. რევაზოვის შესახ. № 18, კუკიის სასაფლაოზე. 722

თავხარდაცემული მშობლები: კოხტატანტინე, ნინა, ძმები: დავითი, ლევან, ვალერიან, ზურაბი, რძლები: მერი, თამარი შვილით თამაზით და ბიძაშვილი ბორისი აუწყებიან საყვარელი

ელენე ძ ვ ა რ ი ა ნ ი ს

გარდაცვალებას დაკრძალვა 15 აგვისტოს 5 ს. ვერის სასაფლაოზე გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 31. 706

გულმოკლული მშობლები: ლიდა და შალვა შვილი ლამარათი მგნებელიები. ბებია ივლიტა, ბაბუა მელიტონი შვილებით: ირინა, კატუშა, ილია, ვალოდია ჩხაიძეები დავსტირით პაწია

გ უ რ ა ბ ი ს

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება დაბა ხოვში. 725

სამუდამოდ გულმოკლული დედა მანია, მამა გოგი, ბიძები: პლატონი, სევერიანე, ვალოდია, ბიცოლები: პასიკო, თარო, თამარა წილოსნ